

საიდ. №77058/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №42-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ლ. ახოზაძე, ა. დალაქიშვილი, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა შპს „ჯორჯიან ბეიქერსის“ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №42-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 17 დეკემბრის №1627/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც კომპანიის „ორიონ კორპორეიშენ“ სახელზე დარეგისტრირდა კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „ORION Choco Pie“ (საიდ. 77058/03) 30-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, შესაგებელი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი შპს „ჯორჯიან ბეიქერსი“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, კომპანია „ორიონ კორპორეიშენის“ მიერ საქპატენტში რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი კომბინირებული სასაქონლო ნიშნის გრაფიკული გამოსახულება, კერძოდ წითელ, ოქროსფერ და თეთრ ფონზე გამოსახული ორცხობილა, ლათინური ასოებით თეთრად შესრულებული წარწერებით “Choco” და “Pie”, არ აკმაყოფილებს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რაც საქართველოს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. აპელანტის პოზიციით აღნიშნული გრაფიკული გამოსახულება არ განასხვავებს „ორიონ კორპორეიშენის“



პროდუქციას

„ლოტე კორპორეიშენის“ მსგავსი საქონლისაგან



აპელანტის მითითებით, აღნიშნული საქონლის დისტრიბუციას, „ლოტე კორპორეიშენი“ 30 წელზე მეტია ეწევა, მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში. აღნიშნული პროდუქტის დისტრიბუცია წლებია ხორციელდება საქართველოს ბაზარზე, შპს „ჯორჯიან ბეიქერსის“, „ლოტე კორპორეიშენის“ პარტნიორი კომპანიის მიერ. სადავო სასაქონლო ნიშანი და დაპირისპირებული

საქონელი აღრევამდე მსგავსია, როგორც გრაფიკულად (ვიზუალურად), ასევე ფონეტიკურად (ჟღერადობით) და სემანტიკურად. აღნიშნული ნიშნები აღრევამდე მსგავსია გრაფიკულად იმდენად რამდენადაც, ორივე მათგანი შესრულებულია წითელ, ოქროსფერ, შოკოლადისფერ და თეთრ ფერებში. ორი კომპანიის პროდუქციის განსხვავებას კიდევ უფრო შეუძლებელს ხდის ის ფაქტი, რომ „ორიონ კორპორეიშენის“ პროდუქტის გრაფიკულ გამოსახულებაზე, „ლოტე კორპორეიშენის“ პროდუქტის მსგავსად, დატანილია იდენტური ფერისა და ფორმის ორცხობილის გამოსახულება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ განცხადებულ და დაპირისპირებულ გამოსახულებებზე გაკეთებულია იდენტური წარწერები, კერძოდ ლათინური ასოებით შესრულებულია სიტყვები „Choco“ და „Pie“. აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე გრაფიკულ გამოსახულებაზე, წარწერები შესრულებულია თეთრი ფერით და ორივე შემთხვევაში ასოები „C“ და „P“ შესრულებულია მთავრული ასოებით და სხვა დანარჩენი ასოები იდენტურია. აპელანტის აზრით, კომპანია „ორიონ კორპორეიშენის“ მიერ განცხადებულ ნიშანსა და „ლოტე კორპორეიშენის“ საქონელს შორის არ არსებობს განსხვავება არც ფონეტიკური ნიშნით. კერძოდ, ორივე მათგანზე გამოსახული სიტყვები „Choco“ და „Pie“ როგორც ცალცალკე, ასევე, ერთობლივად ქართულ ენაზე გამოითქმის იდენტურად როგორც „ჩოკო“ და „პაი“ ან „ჩოკო პაი.“ გარდა ზემოთქმულისა, როგორც განცხადებულ ნიშანს, ასევე დაპირისპირებულ პროდუქციას შორის მსგავსება აშკარაა სემანტიკური თვალსაზრისითაც. კერძოდ, ორივე შემთხვევაში სიმბლოთა ერთობლიობა „Choco“ ქართულად შეიძლება ითარგმნოს, როგორც შოკოლადი (Choco ინგლისური სიტყვის Chocolate-ის შემოკრებული ფორმა) და „Pie“, როგორც ორცხობილა ან ნამცხვარი. სემანტიკური იდენტურობა აშკარა იქნება სიტყვების ერთობლივად თარგმნის შემთხვევაშიც, კერძოდ „Choco Pie“ შეიძლება ქართულად ითარგმნოს როგორც შოკოლადის ორცხობილა ან შოკოლადის ნამცხვარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით აშკარაა, რომ „ორიონ კორპორეიშენის“ მიერ განცხადებული ნიშანი და „ლოტე კორპორეიშენის“ ზემოაღნიშნული საქონელი აღრევამდე მსგავსია და სახეზე გვაქვს საქართველოს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძველი. აპელანტის განმარტებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომპანია „ორიონ კორპორეიშენის“ ნიშანი აღწერილობითი და არაგანმასხვავებელუნარიანია იმ საქონლის სახეობის და მისი მახასიათებლების მიმართ, რომლისთვისაც რეგისტრაცია მოითხოვება. აპელანტის პოზიციით, როგორც ბიულეტენში გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, კომპანია „ორიონ კორპორეიშენს“ სურს აღნიშნული გამოსახულების დარეგისტრირება 30-ე კლასში, რაც სხვა სახეობებთან ერთად მოიცავს შოკოლადებს, ბისკვიტებს, ნამცხვრებს, ტკბილეულს. აპელანტის აზრით, სიტყვა „Choco“ გაგებულ უნდა იქნას, როგორც სიტყვის შოკოლადის შემოკლებული ფორმა, ხოლო სიტყვა „Pie“ შეიძლება ქართულად განიმარტოს, როგორც ორცხობილა ან ნამცხვარი. საქართველოს ტერიტორიაზე, ისევე როგორც მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში, იწარმოება ასობით ათასი სახეობის ორცხობილა და შოკოლადი, აქედან გამომდინარე „ორიონ კორპორეიშენის“ მიერ წარმოდგენილი გამოსახულების ელემენტები აღწერილობითია ზოგადად ნებისმიერი სახის შოკოლადის ან/და ორცხობილისათვის. საინტერესოა, რომ „ორიონ კორპორეიშენის“ წარმოდგენილ ნიშანზე დატანილია ორცხობილის გამოსახულება, რომელიც ასევე არ ქმნის ორიგინალურ განმასხვავებელ ელემენტს, რადგან აღნიშნული ორცხობილის გამოსახულების იდენტური ან უმნიშვნელოდ განსხვავებული ვიზუალის მქონე ორცხობილების მრავალგვარი სახეობა იწარმოება, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. მაგალითად „ლოტე კორპორეიშენის“ ან „ტკბილი ქვეყნის“ მიერ წარმოებული ანალოგიური პროდუქცია. აპელანტის პოზიციით,

სადავო სასაქონლო ნიშანზე გამოსახული სიტყვები „Choco,“ „Pie“ და შოკოლადის ნამცხვრის გამოსახულებიანი სიმბოლოები არ შეიძლება სარგებლობდნენ დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვით. სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, პირველი პუნქტის „ე“ პუნქტის მიხედვით, სიტყვათა შეთანხმება „Choco Pie“, რომელიც ქართულად ნიშნავს შოკოლადის ნამცხვარს ან შოკოლადის ღვეზელს საყოველთაოდ გამოიყენება, როგორც გვარეობითი ცნება ისეთი სახის ნამცხვრის (ორცხობილის) დასახასიათებლად, რომელიც შედგება ორი მომრგვალო ცომეულის ფენისგან და დაფარულია შოკოლადით. აღნიშნულის დასტურად გამოდგება გარემოება, რომ საქართველოს ბაზარზე ისევე როგორც მსოფლიოში, წარმოდგენილია სხვადასხვა კომპანიის თუ სახლის პირობებში დამზადებული იდენტური დასახელების მქონე იდენტური პროდუქცია. მაგალითისათვის „ორიონ კორპორეიშენის“ მსგავს პროდუქტს, მსგავსი დასახელებითა და გამოსახულებითი ელემენტებით, აწარმოებს „ქროუნ კორპორეიშენი,“ „ლოტე კორპორეიშენი,“ „ტკბილი ქვეყანა“ და სხვა წვრილი თუ საშუალო მეწარმეები. აღნიშნულის გათვალისწინებით, სახეზეა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, რეგისტრაციაზე უარის თქმის კიდევ ერთი აბსოლუტური საფუძველი. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, „ვ“ ქვეპუნქტის შესამაბისად, სიტყვათა შეთანხმება „Choco Pie“ საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს უდიდეს ნაწილში, წარმოადგენს შოკოლადის ნამცხვრის აღსანიშნავ საყოველთაო ტერმინს, რომლითაც მომხმარებელი ახდენს არა მწარმოებელი კომპანიის, არამედ პროდუქტის(შოკოლადის ნამცხვრის) იდენტიფიკაციას. შპს „ჯორჯიან ბეიქერსი“ და მისი წინამორბედი კომპანია „DM Trading“, ბოლო 10 წლის განმავლობაში ახდენს შოკოლადის ნამცხვრების, მათ შორის „ორიონ კორპორეიშენის“ და „ლოტე კორპორეიშენის“ პროდუქციის იმპორტსა და დისტრიბუციას და აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, „Choco Pie“-მ სახელი დაიმკვიდრა, როგორც

შოკოლადის ნამცხვრის საყოველთაოდ დამკვიდრებულმა ტერმინმა. შოკოლადის ნამცხვრები „Choco Pie“-ს სახელით ცნობილია, არამხოლოდ მომხმარებლისთვის, არამედ მისი პირდაპირი თუ არაპირდაპირი დისტრიბუტორებისათვის. აღნიშნული დასტურდება სააპელაციო საჩივარზე თანდართული შპს „ჯორჯიან ბეიქერსის“ 5000-ზე მეტ პარტნიორთან პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებებით, სადაც პროდუქტი მოიხსენიება, როგორც „Choco Pie“ მიუხედავად მისი მწარმოებლისა. ზემოთქმული გარემოებების და „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, აპელანტს მიაჩნია რომ სახეზეა, „ორიონ კორპორეიშენის“ მიერ წარმოდგენილი ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები და „ორიონ კორპორეიშენს“ სრულად უნდა ეთქვას უარი აღნიშნული ნიშნის დარეგისტრირებაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 17 დეკემბრის №1627/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც კომპანიის „ორიონ კორპორეიშენ“ სახელზე დარეგისტრირდა კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „ORION Choco Pie“ (საიდ. 77058/03) 30-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

გასაჩივრებული ნიშნის მფლობელი კომპანია „ორიონ კორპორეიშენი“ არ ეთანხმება წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარს შემდეგი გარემოებების გამო:

კომპანია „ორიონ კორპორეიშენის“ განმარტებით, აპელანტი ამტკიცებს, რომ საქართველოს ბაზარზე წლების მანძილზე იყიდება კომპანია „ლოტე კორპორეიშენის“ წარმოებული პროდუქცია განცხადებული სასაქონლო ნიშნის მსგავსი შეფუთვით. ამასთან, არავითარი მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი იმის დასადასტურებლად, რომ ეს საქონელი მართლაც იყიდებოდა და იყიდება საქართველოში. გარდა ამისა, კომპანია „ლოტე კორპორეიშენი“ აღნიშნული შეფუთვის გამოყენებით საქართველოს ბაზარზე არღვევს კომპანია „ორიონ

კორპორეიშენის“ უფლებებს მის მიერ ადრე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებზე და სურს ეს დარღვევა გამოიყენოს, როგორც აბსოლუტური საფუძველი გამოქვეყნებული სასაქონლო ნიშნის გაუქმების მოთხოვნით, რაც სრულიად მიუღებელია, როგორც ზოგადი ლოგიკის თვალსაზრისით, ასევე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებათა გათვალისწინებით. სხვა არგუმენტები, რომლებიც მოყვანილია სააპელაციო საჩივარში საერთოდ არანაირ შეფასებას არ ექვემდებარება, რადგან ეწინააღმდეგება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სასაქონლო ნიშნების შეფასების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. სასაქონლო ნიშნები უნდა შედარდეს მთლიანობაში, საერთო შთაბეჭდილების გათვალისწინებით და არა ცალკეული ელემენტებით. შესაბამისად, არასწორია აპელანტის მიერ განცხადებული სასაქონლო ნიშნისა და არარეგისტრირებული შეფუთვის შედარება. კომპანია „ორიონ კორპორეიშენი“ არ ეთანხმება აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ არგუმენტებს აბსოლუტურ საფუძველებთან დაკავშირებით, კერძოდ ნიშნის არაგანმასხვავებელუნარიანობაზე განცხადებული საქონლის მიმართ. განცხადებული სასაქონლო ნიშანი არ შედგება მხოლოდ საქონლის მახასიათებლებისგან და მთლიანობაში წარმოადგენს მაღალი ესთეტიკით შესრულებულ შეფუთვის ფერად გამოსახულებას, რომელიც მთლიანობაში ანიჭებს ნიშანს განმასხვავებლობას იმ საქონლისათვის, რომლისთვისაც ის არის განცხადებული. რაც შეეხება შოკოლადის ბისკვიტის გამოსახულების არსებობას სასაქონლო ნიშანში, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში განმცხადებელი იყენებს საყოველთაოდ გავრცელებულ ფორმას, როდესაც კომბინირებული სასაქონლო ნიშანი გამოსახულებითი ელემენტის სახით შეიცავს საკვები პროდუქტის გამოსახულებას. საქპატენტის სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ბაზის ანალიზის შედეგად, შესამჩნევია უამრავი ნიშანი რეგისტრირებული მაგალითად ყავისათვის, რომელიც შეიცავს ყავის მარცვლის გამოსახულებას, შოკოლადისათვის - შოკოლადის ფილის გამოსახულებას, რძის

პროდუქტებისათვის - გამოსახულებას, რომელიც მიანიშნებს პროდუქციაში რძის ნაწარმის შემცველობაზე და ა.შ. გამომდინარე აქედან, ყოვლად უსაფუძვლოა აპელანტის მოსაზრებები ნიშნის არაგანმასხვავებელუნარიანობაზე. ასევე უსაფუძვლოა აპელანტის მოსაზრებები მასზედ, რომ სიტყვათა კომბინაცია „Choco Pie” იქცა გვარეობით ცნებად ქართველი მომხმარებლისათვის. იმისათვის, რომ დადასტურდეს სასაქონლო ნიშნის გადაქცევა გვარეობით ცნებად უნდა იქნეს წარმოდგენილი ციტირება განმარტებითი ლექსიკონიდან ან უნდა მოხდეს მოსახლეობის შესაბამისი სექტორის გამოკითხვა. არც ერთი მტკიცებულება სააპელაციო საჩივარს არ ერთვის, შესაბამისად, მტკიცება იმისა, რომ განცხადებული სიტყვათა კომბინაცია იქცა გვარეობით ცნებად უსაფუძვლოა და არ არის გამყარებული რაიმე სახის მტკიცებულებით. გაუგებარია ასევე, სააპელაციო საჩივარში აპელანტის მიერ მოყვანილი არგუმენტები პროდუქციის დისტრიბუტორების შესახებ, რადგან კავშირი არ აქვს აღნიშნულ დავასთან. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მოწინააღმდეგე მხარე მიიჩნევს, რომ აპელანტის მოსაზრება, არ შეესაბამება სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, არ არის გამყარებული არანაირი მტკიცებულებებით და შესაბამისად, არ უნდა დაკმაყოფილდეს სააპელაციო საჩივარი, ძალაში უნდა დარჩეს საქპატენტის ექსპერტიზის დადებითი გადაწყვეტილება, რომლითაც სასაქონლო ნიშანი “ORION Choco Pie” (საიდ. N77058/03) დარეგისტრირდა 30-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალისათვის კომპანიის „ორიონ კორპორეიშენ“ სახელზე.

კოლეგიამ განიხილა მხარეთა არგუმენტები, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არ

აკმაყოფილებს ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს“. ამავე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“. ამავე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“. ამავე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც საყოველთაოდ გამოიყენება, როგორც გარკვეული სახის საქონლის გვარეობითი ცნება“, ხოლო ამავე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვაში იმ საქონლისათვის დამახასიათებელ საყოველთაოდ დამკვიდრებულ ტერმინს ან სიმბოლოს, რომლის რეგისტრაციაც მოითხოვება“.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას, იმის შესახებ, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი არ აკმაყოფილებს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რადგან სადავო სასაქონლო ნიშანი „ORION Choco Pie“ (საიდ. 77058/03) წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს, რომელიც სიტყვიერ აღნიშვნასთან ერთად შეიცავს ასევე, გამოსახულებას. კერძოდ სადავო სასაქონლო ნიშნის გამოსახულება შესრულებულია წითელ, თეთრ, ოქროსფერ, შავ და ლურჯ ფერებში, სადაც სიტყვიერი აღნიშვნა „ORION Choco Pie“ თეთრად დატანილია წითელ ფონზე. სადავო სასაქონლო ნიშანი ასევე შეიცავს, შოკოლადის ორცხობილის გამოსახულებას და ასევე თეთრი ბურთის გამოსახულებას, რომელზეც

დატანილია წითელ და თეთრ ფერებში შესრულებული ვარკვლავები. კოლეგიას, მიაჩნია, რომ ნიშანი მთლიანობაში არის დაცვისუნარიანი და განმასხვავებელუნარიანი, რადგან ნიშანი შეიცავს დაცვისუნარიან ელემენტებს. რაც შეეხება ნიშანში სიტყვიერ აღნიშვნას „Choco pie“, რომელიც ქართულად ითარგმნება, როგორც „შოკოლადის ნამცხვარი“ (https://en.wikipedia.org/wiki/Choco_Pie), იგი არ ექვემდებარება დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას, რადგან აღნიშნული სიტყვიერი აღნიშვნა არაგანმასხვავებელუნარიანი და აღწერილობითია 30-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ. სადავო სასაქონლო ნიშანში წარმოდგენილ შოკოლადის ორცხობილასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ 30 - ე კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ, შოკოლადის ორცხობილა აღწერილობითია და დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას არ ექვემდებარება, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა ნიშანი დაცულია მთლიანობაში და შოკოლადის ორცხობილის განლაგება შეფუთვაზე, ისევე, როგორც სხვა გამოსახულებითი ელემენტები შესრულებული ფერთა კომბინაციაში, სიტყვიერი აღნიშვნა „ORION“ და თეთრი ბურთის გამოსახულება, რომელზეც დატანილია ვარკვლავები, წარმოადგენს ნიშნის დაცვისუნარიან ელემენტებს რაც ანიჭებს სადავო სასაქონლო ნიშანს განმასხვავებელუნარიანობას.

კოლეგია ვერ გაიზიარებს, ასევე აპელანტის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი „ORION Choco Pie“ საყოველთაოდ გამოიყენება, როგორც 30-ე კლასის განცხადებული საქონლის გვარეობითი ცნება ან/და წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვაში ამ საქონლისათვის დამახასიათებელ საყოველთაოდ დამკვიდრებულ ტერმინს ან სიმბოლოს, ვინაიდან აპელანტს არ წარმოუდგენია ამის შესახებ არანაირი მტკიცებულება. ამასთან კოლეგია განმარტავს, რომ ნიშანი განხილულ უნდა იქნას მთლიანობაში და არა მისი ცალკეული ელემენტების მიხედვით. კოლეგიას მიაჩნია, რომ მთლიანობაში ნიშანი ფანტაზიურია 30-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის

მიმართ და არ არსებობს ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სასაქონლო ნიშნის „ORION Choco Pie“ (საიდ. 77058/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ჯორჯიან ბეიქერსის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 17 დეკემბრის №1627/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანში „ORION Choco Pie“ (საიდ. 77058/03) შემავალ სიტყვიერ აღნიშვნას „Choco Pie“ მიენიჭა დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა.

3. სასაქონლო ნიშანი „ORION Choco Pie“ (საიდ. 77058/03) დარეგისტრირდეს მთლიანობაში სიტყვიერი აღნიშვნისათვის „Choco Pie“ დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის მინიჭების გარეშე.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ნ. გოგილიძე

წევრები:

ლ. ახოზაძე

ა. დალაქიშვილი